ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N8

16.02.2018

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

10:00 საათი

ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 16 თებერვალს, 10:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი),დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** *ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-0318044124-03, 13.02.2018)* **(მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

გაიოზ თალაკვაძე- მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და კომისიას წარუდგინა დადგენილების პროექტი *,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".*დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება მერიასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში და მ/წ წლის პირველი იანვრისთვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების 34 677,9 ათასი ლარის ოდენობით ასახვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 35 254,6 ათასი ლარით და შეადგენს 896 863,6 ათას ლარს, ასევე, პროექტში გათვალისწინებულია

მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გადანაწილების შესახებ წინადადებები. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა შეადგინა 15 716,6 ათასი ლარი. გარდა ამისა სატენდერო ეკონომიების განკარგვა ხდება მთავრობის გადაწყვეტილებით, გასული თვენახევრის განმავლობაში ასეთმა სატენდერო ეკონომიებმა გადააჭარბა 5 000,0 ათას ლარს და ამ თანხის გადანაწილებაც გათვალისწინებულია ბიუჯეტში.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა საშტატო-სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, ამასთანავე მისი ძირითადი ნაწილი მოხმარდება ახალი ავტობუსების შეძენას.

სპორტის და ახლაგაზრდობის პრიორიტეტის ფარგლებში ასიგნები მცირდება 13,3 ათასი ლარით, კერძოდ მცირდება სპორტული დაწესებულებების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) *კეთილმოწყობის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნები,* რაც გამოწვეულია ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის IV მ/რ-ის მიმდებარედ რაგბის კომპლექსისთვის მოაჯირებისა და სამაყურებლო სკამების მოწყობის სამუშაოების ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიის ხარჯზე. ასევე მცირდება კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02)-5,8 ათასი ლარით და კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08)-3,0 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მომხსენებელმა ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :
,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ *(12-0318044124-03, 13.02.2018)* საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე (4), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - მარინა დათუკიშვილი (1)) ;

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:
,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე